საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლაშიჭალა

ლაშიჭალა, ადგილობრივი მნიშვნელობის ბალნეოლოგიური კურორტი ცაგერის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს მდ. ლაჯანურის ხეობაში, ზ. დ. 800–900 მ. ჰავა რბილია, იცის თოვლიანი ზამთარი და ზომიერად ნოტიო ზაფხული. ძირითადი სამკურნ. ფაქტორია ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატული მაგნიუმ-კალციუმიანი მინერ. წყალი. წყლის მინერალიზაცია – 0,8–1,2 გ/ლ, ტემპ-რა 13–15°C, საერთო დებიტი დაახლ. 12 000 ლ დღე-ღამეში. იყენებენ სასმელად და აბაზანებისათვის. სამედ. ჩვენება – საჭმლის მომნელებელ ორგანოთა ქრონ. დაავადებანი. ლ-ში არის სააბაზანო შენობა, გახსნილია ოჯახური სასტუმრო. კურორტი ფუნქციონირებს ზაფხულის თვეებში.

გ. უშვერიძე